ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №47 -ე სხდომის ოქმი

2011 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1.ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, ლევან ხეთაგურის უფლებამოსილების ცნობა აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში;

2.თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის პროგრამის დამტკიცება;

3.დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის დებულების განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის, პროგრამის განხილვა და დამტკიცება;

4.ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული მათემატიკური კვლევების ინსტიტუტის პროგრამის განხილვა და დამტკიცება;

5.ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დებულების განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის, პროგრამის განხილვა და დამტკიცება;

6.გამოყენებითი ფიზიკის ინსტიტუტის დებულების განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის, პროგრამის განხილვა და დამტკიცება;

7.ბიზნესის კვლევების ცენტრის დაარსება, დებულებისა და დირექტორის დანიშვნის საკითხის გახილვა და დამტკიცება;

8.მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შემადგენლობაში „გარემოს დაცვითი ცენტრისა“ და ტელე-კინო სამსახიობო ხელოვნების ინკლუზიური სწავლების საყმაწვილო ცენტრ ,,არტ ჰოლის“ დაარსების საკითხის განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;

9.სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე „ევროპის შემსწავლელი ცენტრის“ დაარსების საკითხის განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;

10. სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების ცენტრის - „ევრიკის “ დაარსება, მისი დებულებისა და დირექტორის დანიშვნის საკითხის განხილვა და დამტკიცება;

11. დოქტორანტ მარიამ ახალკაცისა და თამარ ლორთქიფანიძისათვის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და სადისერტაციო საბჭოს დანიშვნის შესახებ საკითხის განხილვა და დამტკიცება;

12. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტის პროგრამების კოორდინატორის, დანიელ ჯიბლაძის განცხადების განხილვა;

13. ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის განცხადების განხილვა ინსტიტუტის ფარგლებში ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ;

14. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინების განხილვა აკადემიურ თანამდებობებზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ;

15. „ვეფხისტყაოსნის ელექტრონული კორპუსის“ განხილვა და დამტკიცება;

16. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესიული პროგრამების განხილვა და დამტკიცება;

17. ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების ცნობად მიღება (ფაკულტეტის გადაწყვეტილებით, დეკანად არჩეულ იქნა თენგიზ ვერულავა);

18. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის განხილვა;

19. მიკრობების გენეტიკის და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დაარსების საკითხის განხილვა;

20. აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსების საფუძველზე შემოსული განცხადებების განხილვა და შედეგების დამტკიცება;

21. ზოოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევრის, მზია კოხიას ნაშრომის ,,საქართველოს მაღალმთიანი საძოვრების ბიომრავალფეროვნება: მეზოედაფონის სტრუქტურა, კვება, მონიტორინგი“ უნივერსიტეტის ფარგლებში გამოცემის საკითხის განხილვა და დამტკიცება.

22. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფარგლებში „სკოლამდელი განათლებისა და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის ცენტრის დაფუძნების საკითხის განხილვა და წარდეგნა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მაია თევზაძე - სხდომის მდივანი;
3. ნიკოლოზ მაღლაფერიძე;
4. გიორგი ბახტაძე;
5. დავით თარხნიშვილი;
6. გიორგი მენაბდე;
7. ბელა წიფურია;
8. ლევან ხეთაგური.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა გიგი თევზაძემ აკადემიურ საბჭოს მიმართა, რიგგარეშე საკითხად განეხილათ შემდეგი საკითხები: დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის" საინჟინრო ფაკულტეტის შემადგენლობაში გადატანის საკითხი, უნივერსიტეტის ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო - კვლევითი პროგრამების ინგლისურად თარგმნისა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსების საკითხი, უნივერსიტეტის ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის განაწილების საკითხი და ზოგიერთ აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების საკითხი.

2011 წლის 27 იანვრის აკადემიური საბჭოს №47 სხდომაზე დადგინდა:

1. **დადგინდეს** - ლევან ხეთაგურის უფლებამოსილება აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში განისაზღვროს ამ აკადემიური საბჭოს ვადით;
2. **დამტკიცდეს** - თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის პროგრამა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს პროგრამის თარგმნა ინგლისურ ენაზე და ქართულ-ინგლისური ვარიანტების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
3. **დადგინდეს** - დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის დებულება გაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად, დამტკიცდეს ინსტიტუტის კვლევითი პროგრამები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს პროგრამების თარგმნა ინგლისურ ენაზე და ქართულ-ინგლისური ვარიანტების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
4. **დამტკიცდეს** - ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული მათემატიკური კვლევების ინსტიტუტის პროგრამა, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის პროგრამა, გამოყენებითი ფიზიკის ინსტიტუტის პროგრამა, დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, უზრუნველყოს ზემოთ მითითებული

პროგრამების ინგლისურ ენაზე თარგმნა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე ინგლისურ/ქართული ვერსიის განთავსება, მოწონებულ იქნას ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტისა და გამოყენებითი ფიზიკის ინსტიტუტის დებულებები და გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად;

5. **დადგინდეს** - დაარსდეს ბიზნესის კვლევების ცენტრი უნივერსიტეტის ფარგლებში, გადაეგზავნოს დებულება წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად, ხოლო ცენტრის დირექტორის პოზიციაზე დაინიშნოს პროფესორი დიმიტრი ჯაფარიძე 2 წლის ვადით.
6. **დადგინდეს** - დაარსდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შემადგენლობაში ფაკულტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე „გარემოს დაცვითი ცენტრი“ და ტელე-კინო სამსახიობო ხელოვნების ინკლუზიური სწავლების საყმაწვილო ცენტრი ,,არტ ჰოლი“, საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;
7. **დადგინდეს** - ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაფუძნდეს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე „ევროპის შემსწავლელი ცენტრი“, ცენტრის მუშაობას საწყის ეტაპზე კოორდინაცია გაუწიოს პროფესორმა დავით აფრასიძემ, წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინოს ცენტრის დაარსების საკითხი;
8. **დადგინდეს** - დაფუძნდეს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების ცენტრი „ევრიკა“, დირექტორად 2 წლის ვადით დაინიშნოს მარიკა კაპანაძე, ცენტრის დებულება გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.
9. **დამტკიცდეს** - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის დოქტორანტ **მარიამ ახალკაცისათვის რეცენზენტები განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: გოდერძი დიდებულიძე** - ასოც.პროფესორი ატმოსფერო-იონოსფეროს ფიზიკის მიმართულებით, **რამაზ ხომერიკი** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, **ანდრია როგავა** - ასოცირებული პროფესორი ასტროფიზიკის მიმართულებით. სადისერტაციო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: **ჯუანშერ ჩქარეული** - პროფესორ-ემერიტუსი ფიზიკა-მათემატიკის მიმართულებით, **ზურაბ**

თავართქილაძე - ასოცირებული პროფესორი ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკისა და კოსმოლოგიის მიმართულებით, **გიორგი ხიმშიაშვილი** - სრული პროფესორი მათემატიკის მიმართულებით, **ანდრია როგავა** - ასოცირებული პროფესორი ასტროფიზიკის მიმართულებით, **გოდერძი დიდებულიძე** - ასოცირებული პროფესორი ატმოსფერო-იონოსფეროს ფიზიკის მიმართულებით, **ვასილ კუხიანიძე** - ასოცირებული პროფესორი ასტროფიზიკა-ასტრონომიის მიმართულებით, **რამაზ ხომერიკი** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის დოქტორანტ **თამარ ლორთქიფანიძისათვის რეცენზენტები განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: ლალი შანშიაშვილი** - ასოც.პროფესორი ნეიროქიმიის მიმართულებით, **მზია ჟვანია** - ასოც.პროფესორი ნეიროანატომიის მიმართულებით, **თამარ ბიკაშვილი** - სსიპ სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი. სადისერტაციო საბჭოს წევრების შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: **დავით მიქელაძე** (თავმჯდომარე) - სრული პროფესორი მოლეკულური ფარმაკოლოგიის მიმართულებით, **მანანა ნემსაძე** - პროფესორ ემერიტუსი ნეიროფიზიოლოგია - ნეირობიოლოგიის მიმართულებით, **გიორგი გამყრელიძე** - სრული პროფესორი ნეიროფიზიოლოგიის მიმართულებით, **ელენე ჟურავლიოვა** - ასისტ. პროფესორი ბიოქიმიის მიმართულებით, **თამარ ბარბაქაძე** - ასისტ. პროფესორი მოლეკულური ფარმაკოლოგიის მიმართულებით.

10. **დადგინდეს** - გათვალისწინებულ იქნას დანიელ ჯიბლაძის ღვაწლი საგანმანათლებლო საქმიანობის კუთხით და დაევალოს ადმინისტრაციას, უზრუნველყოს მისთვის შესაბამისი ანაზღაურებადი გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმება მიმდინარე ხელშეკრულების ამოწურვის შემდგომ;
11. დადგინდეს - 2011 წლის 31 დეკემბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტში მოლეკულური ბიოტექნოლოგიის მიმართულებით ასისტენტ პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე,

შემოსული განცხადებები განიხილოს და გამარჯვებული გამოავლინოს აკადემიურმა საბჭომ .

12. *დადგინდეს - გამოცხადდეს ღია კონკურსი 2011 წლის 15 თებერვლიდან შემდეგ თანამდებობებზე: 1.* ფსიქოლოგიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე; 2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების მიმართულებით (ქრისტიანული არქეოლოგია)-ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე; 3. ფილოსოფიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე; 4. სოციოლოგიის და დემოგრაფიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე;

13. **დამტკიცდეს** „ვეფხისტყაოსნის ელექტრონული კორპუსი“ წარმოდგენილი სახით.

14. **დამტკიცდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე დაყრდნობით დამტკიცდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შემდეგი პროფესიული პროგრამები: 1. ხატწერა, ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავება (IV და V საფეხური); 2. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება (IV და V საფეხური); 3.დრამის რეჟისორ-რეპეტიტორი (IV და V საფეხური); 4. თეატრისა და კინოს მხატვარ-დეკორატორი (IV და V საფეხური); 5. ეკრანული ხელოვნება (კინო-ტელე ოპერატორი IV საფეხური); 6. ეკრანული ხელოვნება (კინო-ტელე რეჟისორი IVდა V საფეხური); 7. ეკრანული ხელოვნება (მონტაჟის რეჟისორი IV და V საფეხური); 8. ჟურნალისტიკა (კორესპონდენტი III საფეხური); 9. ჟურნალისტიკა (საინფორმაციო პროგრამების ოპერატორი-მემონტაჟე IV საფეხური); 10. ჟურნალისტიკა (ტელე-რადიო საინფორმაციო პროგრამების რეპორტიორი IV საფეხური); 11. ფოტოგრაფია (IV საფეხური) 12. მენეჯმენტი (ტელე–რადიო საინფორმაციო პროგრამების პროდიუსერი V საფეხური); 13.

სასცენო ხელოვნების ოსტატი (IV და V საფეხური); ;14. სცენის მულტიმედია დიზაინი (IV და V საფეხური).

15. **დადგინდეს** - ცნობად იქნას მიღებული ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე ჩატარებული არჩევნების შედეგები (ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, 4 წლის ვადით არჩეულ იქნა თენგიზ ვერულავა).

16. **დადგინდეს -** მოწონებულ იქნას 2011 წლის ბიუჯეტი.

17. **დადგინდეს** - უნივერსიტეტის ფარგლებში შეიქმნას „მიკრობების გენეტიკის და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი“, დებულება წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად, ეთხოვოს მამუკა კოტეტიშვილს, დროებით შეასრულოს ინსტიტუტის დირექტორის ფუქნციები.

18. **დადაგინდეს** - გამოყენებითი ეკონომიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე გამოცხადებული აკადემიური კონკურსის გამარჯვებულად გამოცხადდეს ანდრო რურუა, ეთხოვოს მას, დროებით შეასრულოს გამოყენებითი ეკონომიკისა და სოციალური კვლევების ქართული ინსტიტუტის დირექტორის ფუნქციები და გაუფორმდეს შრომითი ხელშეკრულება 2 წლის ვადით. 2011 წლის 1 თებერვლიდან დამტკიცდეს შემდეგი კანდიდატურები: 1. სოციოლოგიისა და დემოგრაფიის მიმართულებით სრული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე - **გიგი თევზაძე;** 2. პოლიტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების და უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით სრული პროფესორის ორ საშტატო ერთეულზე - **გიორგი ნოდია და დავით დარჩიაშვილი;** 3. კულტურისა და რელიგიის მიმართულებით სრული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე - **ნოდარ ლადარია;** 4. ფილოსოფიის მიმართულებით სრული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე - **მამუკა ბერიაშვილი;** 5. სოციოლოგიის და დემოგრაფიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ორ

საშტატო ერთეულზე - **ანა ჟვანია და ლევან თარხნიშვილი;** 6. პოლიტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების და უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე - **ტარიელ სიხარულიძე.** კონკურსში არჩეულ კანდიდატებს - **გიგი თევზაძეს, დავით დარჩიაშვილს, გიორგი ნოდიას** შრომის ხელშეკრულება გაუფორმდეთ 2011 წლის 2 თებერვლიდან 5 წლის ვადით, ნოდარ ლადარიას - 2011 წლის 23 თებერვლიდან - 5 წლის ვადით, ხოლო დანარჩენ კანდიდატებს 2011 წლის 2 თებერვლიდან - 3 წლის ვადით. სპორტის ფაკულტეტზე, სპორტის კვლევების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ჩატარებული კონკურსის გამარჯვებულად გამოცხადდეს მარინა ჩხიკვიშვილი და გაუფორმდეს შრომითი კონტრაქტი 2 წლის ვადით.

19. დადგინდეს - დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შეამოწმოს ზოოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევრის, მზია კოხიას ნაშრომის „ საქართველოს მაღალმთიანი საძოვრების ბიომრავალფეროვნება: მეზოედაფონის სტრუქტურა, კვება, მონიტორინგი“ ქართულ ინგლისური ვარიანტი და მათი დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე უნივერსიტეტის გამომცემლობამ უზრუნველყოს ნაშრომის დაბეჭდვა გრანტის ფარგლებში მოცემული ბიუჯეტიდან.
20. ***დადგინდეს*** - საინჟინრო ფაკულტეტის შემადგენლობაში გადავიდეს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი თავისი სტრუქტურული ერთეულებით, ეთხოვოს პროფესორ ზურაბ ჯავახიშვილს საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შესრულება დროებით.
21. დადგინდეს - საინჟინრო ფაკულტეტის შემადგენლობაში გადავიდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული ,,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრი” პროფესიული პროგრამების გარეშე.

22. **დაფუძნდეს** მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფარგლებში „სკოლამდელი განათლებისა და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის ცენტრი და საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

23. ***დადგინდეს*** - გამოცხადდეს კონკურსი საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე 2011 წლის 7 თებერვლიდან;
24. ***დადგინდეს*** - დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნივერსიტეტის ფარგლებში დამტკიცებული სამეცნიერო - კვლევითი პროექტების თარგმნა ინგლისურ ენაზე და უნივერსიტეტის ვებგვერდზე ატვირთვა;
25. ***დადგინდეს*** - მოწონებულ იქნას უნივერსიტეტის ფარგლებში შექმნილი დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი. დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს ფინანსების ადმინისტრირების მიმართულებით თეიმურაზ სამადაშვილს, უზრუნველყოს ბიუჯეტის გაცნობა იმ დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი სტუქტურული ერთეულებისათვის, რომელთაც დაუმტკიცდათ ბიუჯეტი.
26. ***დადგინდეს*** - დაევალოს ადამიანური რესურსების სამსახურს, უზრუნველყოს კონკურსის გამოცხადება 2011 წლის 15 თებერვლიდან შემდეგ თანამდებობებზე: 1. ფსიქოლოგიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე; 2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების მიმართულებით (ქრისტიანული არქეოლოგია)-ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე; 3. ფილოსოფიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე; 4. სოციოლოგიის და დემოგრაფიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე; 2011 წლის 1 თებერვლიდან გამოცხადდეს კონკურსი შემდეგი მიმართულებით: 1. **გეოფიზიკის მიმართულება - ასოცირებული პროფესორის 2 საშტატო ერთეული, 2.** ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულება-ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეული; 3. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულება- ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეული; 4. ასტროფიზიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 2 საშტატო ერთეული; 5. ელემენტარული ნაწილაკების და კოსმოლოგიის მიმართულება-ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეული; 6. გეოფიზიკის მიმართულება-სრული პროფესორის 1 საშტატო ერთეული; 7. მცენარეთა ეკოლოგიის მიმართულება- სრული პროფესორის 1 საშტატო ერთეული; 8. ენისა და ლიტერატურის მიმართულება - სრული პროფესორის 1 საშტატო ერთეული. **2011 წლის 1 თებერვლიდან** ასევე გამოცხადდეს ღია კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით

ასოცირებული პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე. კონკურსებზე შემოსული განცხადებები განიხილოს აკადემიურმა საბჭომ და გამოავლინოს გამარჯვებული.

სხდომის თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი
მაია თევზაძე